პირველი შუალედური გამოცდის საკითხები რომის სამართლის საფუძვლებში

1 ქულიანი ტესტები:

1. **დაასახელეთ Consuetudo-ს ნამდვილობის აუცილებელ პირობები: (1 ქულა)**
   1. გარკვეული წესით ხანგრძლივად, უწყვეტად მოქმედება და მისი დაცვა.
   2. ხალხის სამართლებრივ მრწამს უნდა შეესაბამებოდეს.
   3. არსებულ კანონს უნდა შეესაბამებოდეს, ავსებდეს მას.

2. **ჩამოთვალეთ მონობის (servi) ყველაზე გავრცელებული წყაროები: (1 ქულა)**
   1. დაბადებით მონობა
   2. სამხედრო ტყვეობა ან უბრალოდ ტყვედ ჩავარდნა
   3. მონად გაყიდვა
   4.მონად დასჯა
   ყველაზე გავრცელებული იყო სამხედრო ტყვეობა.

3. **პრინციპატის ხანაში ვინ ირჩევდა magistratus maiores-ს: (1 ქულა)**
   პრინციპატის ხანაში magistratus maiores-ს სენატი ირჩევდა პრინცეპსის მიერ შედგენილი სიიდან.

4. **რა იყო Restitutio in integrum-ის სამართლებრივი საფუძველი: (1 ქულა)**
   პრეტორი ზოგჯერ პირადად გამოიკვლევდა საქმეს და თუ დარწმუნდებოდა, რომ მხარეს მოუვიდა ზარალი, ის აუქმებდა აქტებს და აღადგენდა პირვანდელ მდგომარეობას.

5. თავად რომაელი იურისტები, როგორ ყოფდნენ რომის სამართლის სისტემას? (1 ქულა)

რომაელი იურისტები რომის სამართლის სისტემას ყოფდნენ კერძოდ და

საჯაროდ, თავის მხრივ კერძოს ყოფდნენ: ცივილურ, პრეტორულ და ხალხის სამართლად.

6. რესპუბლიკის პერიოდში ვინ იწვევდა სახალხო კრებებს? (1 ქულა)
რესპუბლიკის პერიოდში რომში სახალხო კრებებს მაგისტრატების ინიციატივით იწვევდნენ.

7. რას ნიშნავს დებულება: რომაული ოჯახი (familia) პატრიარქალური იყო, ანუ? (1 ქულა)
ოჯახს თავში ყველაზე უხუცესი წევრი ედგა, რომელსაც წინაპრების ტრადიციების გაფრთხილება ევალებოდა და ოჯახის სხვა წევრებიც მას უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ.

8. დაასახელეთ ძველ რომში არსებული კანონების სახეები: (1 ქულა)
რომში არსებობდა 4 სახის კანონები: ედიქტები, რესკრიპტები, მანდატები და დეკრეტები.

9. ცნობილი რომაელი ისტორიკოსი – ტიტუს ლივიუსი ამბობდა, რომ ეს ერთდროულად არის რომის კერძო და საჯარო სამართლის წყარო. რომელ აქტს გულისხმობდა რომაელი მეცნიერი? (1 ქულა)
XII დაფის კანონს.

10. ჩამოთვალეთ რომაული ჩვეულებრივი მაგისტრატურის ნიშნები: (1 ქულა)
ჩვეულებრივი მაგისტრატურის ნიშნებია: არჩევითობა, ვადიანობა, კოლეგიალობა და ანგარიშვალდებულება.

11. რას ნიშნავდა Iurisdictio-ს გამოყოფა consul-ის აღმასრულებელი ხელისუფლებიდან? (1 ქულა)
პრეტორის თანამდებობის შემოღებით, რომელსაც მართლმსაჯულების ფუნქციაც მიენიჭა. მართლმსაჯულება აღმასრულებელ ხელისუფლებას გამოეყო.

12.ჩამოთვალეთ ძველ რომში მონობიდან (servi) გააზატების (manumissio) ყველაზე გავრცელებული წესები: (1 ქულა)

1. მონათმფლობელი საჯაროდ აცხადებდა, მაგისტრატის წინაშე, რომ მონას ათავისუფლებდა.
2. მოქალაქეთა სიების შედგენისას, თუ ბატონი მონის სახელს ჩაწერდა
3. გააზატების საშუალება იყო მონათმფლობლის ანდერძი

13.დაასახელეთ ის ურთიერთობები, რომლებსაც აწესრიგებდნენ Leges duodecim tabularum-ის მერვე და მეცხრე დაფები: (1 ქულა)

მერვე და მეცხრე დაფები აწესრიგებდნენ სისხლის სამართლის საკითხებს.

14.პრინციპატი არის: (1 ქულა)

რომში არსებული, რესპუბლიკური ორგანოებით შენიღბულ-შელამაზებული მონარქიული მმართველობის ნაირსახეობა.

15.ჩამოთვალეთ რომაული სასამართლო პროცესის სახეები: (1 ქულა)

რომში არსებობდა ლეგისაქციური, ფორმალური და ექსტრაორდინალური სასამართლოს სახეები.

16.**პრეტორული formula-ს მეორე ელემენტი – intentio ნიშნავდა: (1 ქულა)**

Intention პრეტორული სამართლის ნაწილი იყო. მასში ჩამოყალიბებული იყო მოსარჩლეს მოთხოვნა.

17.**მაგისტრატების ედიქტებს (edictum magistratuum) ჰქონდა: (1 ქულა)**

მაგისტრატების მიერ თავისი უფებამოსილების ფარგლებში გამოცემული კანონქვემდებარე აქტები, რომლებსაც ზოგადსავალდებულო ხასიათი ჰქონდათ.

18.Rex-ების ეპოქა იყო: (1 ქულა)

რექსების ეპოქა (ქრ.შ.753-510წწ.) იყო ადრეული ტიპის პოლიტიკური წარმონაქმნი.

19.ჩამოთვალეთ ფორმულის შემადგენელი ელემენტები: (1 ქულა)

1. Audicatio - მოსამართლის უფლებით აღჭურვა
2. Intentio - მოსარჩელეს პრეტენზია

3. Condemnatio - მოსამართლისათვის მითითებების მიცემა
4. Demonstratio - საქმის არსი

20. რამდენი და რა სტადიისგან შედგებოდა ძველრომაული კანონისმიერი სასარჩელო სასამართლო პროცესი? (1 ქულა)

1. In iure - ის წარმოადგენდა საბოლოო სტადიას. საქმე გადაწყვეტილად ითვლებოდა, თუ მოპასუხე სარჩელს ცნობდა.

2. Iudicium - ამ სტადიაზე ხდებოდა არსებული მასალის საფუძვლიანად შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება.

21. ჩამოთვალეთ Constitutiones principium-ის სახეები: (1 ქულა)

იმპერატორის მიერ გამოცემული აქტები, რომლებსაც ჰქონდათ კანონის ძალა.

22.რამდენ ნაირსახეობად იყოფოდა რომაული მაგისტრატურა? (1 ქულა)

1. ჩვეულებრივი
2. ექსტრაორდინალური

23. ჩამოთვალეთ persona (პირის) ძირითადი ნიშნები:(1 ქულა)

1. დედის ორგანიზმიდან გამოყოფა
2. ცოცხლად დაბადება
3. ადამიანის იერ-სახის ქონა

24.ძველ რომში მოსამართლე – iudex უნდა ყოფილიყო: (1 ქულა)

iudex - მოსამართლე. იგი უნდა ყოფილიყო მაღალი ფენის წარმომადგენელი, საზოგადოების ნდობით აღჭურვილი და გონიერი, სამართლიანი პიროვნება.

25.ვის ჰქონდა Lex-ის გამოცემის უფლება? (1 ქულა)

კანონების გამოცემის უფლება ქონდათ მაღალი თანამდებობის პირებს: კონსულს, სენატს.

26. დაასახელეთ რექსების პერიოდში მოქმედი წარმომადგენლობითი მმართველობის უმაღლესი ორგანო: (1 ქულა)

რექსების პერიოდში უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს წარმოადგენდა - სენატი.

27. ჩამოთვალეთ ratio nonscripta (დაუწერელი გონის) ის ელემენტები, რომლებიც Consuetudo-ში იყო ასახული: (1 ქულა)

1. რელიგიური წესრიგი
2. მართალი სამართალი
3. ჩვეულება
4. წინაპართა ნაანდერძევი
5. პატიოსნება

28. რამდენი და რა სტატუსი იყო საჭირო, სრული მოცულობით, Persona-ს უფლება- და ქმედუნარიანობის დასადგენად? (1 ქულა)

1. თავისუფლება
2. მოქალაქეობა
3. საოჯახო სტატუსი

29. ჩამოთვალეთ ძველრომაული ქორწინების ნამდვილობის პირობები: (1 ქულა)

1. Confarreatio
2. Coemptio

30. რას ნიშნავდა Sponsalia? (1 ქულა)

Sponsalia - niSnoba

31. ჩამოთვალეთ ძველრომაული ქორწინების შეწყვეტის სახეები: (1 ქულა)

1. Divortium - ქორწინების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმებით.
2. Repudium - ქორწინების შეწყვეტა ცალმხრივად.

32. ჩამოთვალეთ Dos (მზითევის) სახეები: (1 ქულა)

1. Dos profecticia
2. Dos adventicia

33. განმარტეთ ძველრომაული Nuptiae-ს ცნება: (1 ქულა)

Nuptiane - ქორწინება.

qorwineba aris mamakacisa da qalis kavSiri, mTeli cxovrebis erTianoba, RvTiuri da adamianuri samarTlis erToba

34. დაასახელეთ ძველრომაული ქორწინების სახეები: (1 ქულა)

1. qmris xeliT (**cum manu mariti**)
2. qmris xelis gareSe (**sine manu mariti**)

35. რას ნიშნავდა tutela და cura? (1 ქულა)

Tutela – mzrunveloba

cura - meurveoba

36. რას ნიშნავდა adrogatio და adoptio? (1 ქულა)

adrogatio - Tavisufali piris Svilad ayvana.

adoptio - araTavisufali piris Svilad ayvana.

2 ქულიანი ტერმინების განმარტება:

1) **consuetudo** - ჩვეულებითი სამართალი. სამოქალაქო ბრუნვაში მუდმივად გამოყენებულ სამართლის ნორმას, რომელიც ხალხსი რწმენას ეფუძნება ჩვეულებითი სამართალი ეწოდება.

2) **persona sui iuris** - თვითხელისუფლების პირი. შიდასაოჯახო სოციალურ სივრცეში ოჯახის უფროსი თვითხელისუფალ პირად წარმოგვიდგებოდა. ოჯახის უფროსი საკუთარ ხელისუფლებასა და

უფლებას მორჩილებდა, იმავდროულად, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი და დამოუკიდებელი პიროვნება იყო.

3) restitutio in integrum - ინტერდიქტი. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნა.

4) ius privata - კერძო სამართალი, რომლის დროსაც მხარეებს თანაბარი უფლებები აქვთ.

5) rex - რექსი იყო უზენაესი სამხედრო და პოლიტიკური ბელადი, რომელიც მოქალაქეთა საკრალური წარმომადგენლის ფუნქციასაც ასრულებდა. ეტრუსკულმა რექსებმა შემოიღეს უზენაესი ხელისუფლების სიმბოლოები.

6) manumissio inter amicos - გააზატება მეგობრების წრეში. რსებობდა ორი ეტაპი: 1. ბატონის ნების გამოვლენა და 2. ამის შესახებ, მეგობრებისათვის შეტყობინება. მეგობრების როლი, მხოლოდ ფაქტის მარტივი დადასტურება-დამოწმებით როდი იფარგლებოდა; მებატონის ნების შესრულების გარანტიასა და გააზატებულის პირადი სტატუსის განსაზღვრის უზრუნველყოფას ისინი საკუთარ თავზე იღებდნენ.

7) Senatusconsulta - **Senatusconsultum** (შჩ) ხალხის (**პოპულუს**) მონაწილეობის გარეშე მიიღებოდა. სენატის დადგენილება არის ის, რაც სენატმა ბრძანა და დაადგინა; მას აქვს კანონის ძალა, თუმცა, ამის შესახებ ბევრს დაობდნენ.

8) comitia centuriata - ცენტურიალური კომიციები შეიქმნა მეფე სერვიუს ტულიუსის მიერ. მას სურდა გაერთიანებინა პატრიციები
და პლებეები ერთ პოლიტიკურ ერთეულად და დაეყო ისინი
ქონებრივი ცენზის მიხედვით

9) colonus - კოლონი ანუ მიწაზე მიმაგრებული გლეხობა. მიწაზე მიმაგრების პროცესი იმპერატორის მიწაზე მონების, გააზატებულებისა და მოიჯარეთა შრომის გამოყენებას ითვალისწინებდა; მათ საკუთარი ნებით სადმე წასვლა ეკრძალებოდათ. კოლონატის ინსტიტუტის იურიდიული გაფორმება IV საუკუნის ბოლოს დასრულდა.

10) Plebiscita - პლებსის კრების დადგენილება, რომელსაც კანონის ძალა თავიდან არ ქონდა. 287 წლის ჰორტენზიუსის კანონის შედეგად, მას lex-ის ძალა მიენიჭა.

11) per formula agere - ფორმულარული პროცესი. ქრ. შობამდე II საუკუნის მე-3 მეოთხედში დადგინდა სასამართლო პროცესის ახალი სახე - ფორმულით ანუ დადგენილი სიტყვებით. ის სასამართლო პროცესის საკანონმდებლო ბაზას ქმნიდა. ის ორი სტადიითა წარმოდგენილი: in iure და apud iudicem.

12) capitis deminutio maxima - თუ ვალაუვალ მევალეს დამცველი არ გამოუჩნდებოდა, მას პირადი სტატუსის დაკარგვის საფრთხე ემუქრებოდა. დამონებულ პირს საკუთარი სახელით თავის დაცვა აღარ შეეძლო; სასამართლო პროცესზე მას დამცველი უნდა გამოეყვანა. ხელის დადება სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობისას ხდებოდა.

13) Constitutiones principium - იმპერატორების კონსტიტუციები. პრინცეფსის გადაწყვეტილებას კანონის ძალა აქვს, რადგან ხალხი მთელ ხელისუფლებას იმპერატორს გადასცემს. არსებობს 3 სახის იმპერატორის კონსტიტუციები: Edicta; Decreta; Rescripta.

14) scrinia - იმპერატორის პირადი კანცელარიის ძირითადი ფუნქციები იყო: იმპერატორის სახელით ოფიციალური მიმოწერა, ქონების განკარგვა და ა.შ. შესაბამისად, იმპერატორის კანცელარია ოთხ განყოფილებად იყოფოდა: 1. **ab epistulis** 2. **a rationibus** 3. **a cognitionibus** 4. **a libellis**

15) adgnatus proximus - უახლოესი აგნატი ნათესავი. რომის საოჯახო სამართალი აღიარებდა შემდეგი სახის ნათესაურ კავშირებს: 1. აგნატურ ნათესაობას ანუ როდესაც ოჯახის ყველა წევრი ოჯახის მამრობითი სქესის უფროსის ხელისუფლებაში იყო; 2. კოგნატური ანუ სისხლით ნათესაობა, რომელშიც, გარდა ზემოჩამოთვლი პირებისა, ოჯახის წინაპრებთან ნათესაური კავშირით ყველაზე ახლოს მდგომი მამრობითი სქესის აგნატი ნათესავიც – **adgnatus proximus** – მოიაზრებოდა.

16) Edictum magistratuum - მაგისტრატების ედიქტები. უმაღლესი სამხედრო და საჯარო ხელისუფლების მქონე რომაელ მაგისტრატებს, ქცევის წესების დადგენა და გამოცემა ედიქტების სახით შეეძლოთ. მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ქრ. შობამდე II საუკუნეში lex Aebutia-ს გამოცემით შეეძინათ.

17) quaestor sacri palatii - ღვთაებრივი სასახლის მცველი. დიოკლიტიანეს მიერ ჩატარებული რეფორმების დროს ის იუსტიციის მინისტრი იყო.

18) intentio - ფორმულარული პროცესის ძირითადი ნაწილი. მასში ჩამოყალიბებული იყო მოსარჩელეს მოთხოვნა. ეს ნაწილი იწყებოდა სიტყვებით: „თუ გაირკვა რომ...“

19) Senatus - სენატი. ესაა უხუცესთა საბჭო, რონელიც რექსს სახელმწიფო პრობლემების გადაწყვეტაში ეხმარებოდა. რომულუსმა თავად დაარსა სენატი, რომლის შემადგენლობაში 100 სენატორი შეიყვანა. ტარკვინიუს პრისკუსის დროს მათმა რიცხვა 300 მიაღწია.

20) lex - პოზიტიური სამართლის უზენაესი და ყველაზე სრულყოფილი ფორმის კანონი. ის დადგენილი და დამტკიცებული უნდა ყოფილიყო რომაელი ხალხის წარმომდგენი სახალხო კრების მიერ.
21) interdictum - პრეტორის ბრძანება, მოდავე მხარეების მიმართ. მხარეთა შეთანხმების არსებული დავის გადასაწყვეტად.
22) sponsalia – ნიშნობა. ტრადიციულად, ქორწინებამდე იმართებოდა ნიშნობა. თავდაპირველად, ნიშნობა თითოეული დასაქორწინებელი პირის ოჯახის უფროსების შეთანხმებით ხდებოდა; მოგვიანებით კი, თავად მექორწინეთა თანხმობით.
23) confarreatio - უძველესი პერიოდის რომში არსებობდა საზეიმო რელიგიური რიტუალი – ცონფარრეატიო, რომელსაც ათი ქურუმი აღასრულებდა და მხოლოდ პატრიციებისათვის იყო ნებადართული. რიტუალის დროს საპატარძლო და საქმრო წმინდა პურს ტეხდნენ და ქურუმების მითითებებს ასრულებდნენ.
24) tutela et cura - მზრუნველობა და მეურვეობა. თუტელა (მზრუნველობა) არასრულწლოვნებსა და ქალებზე წესდებოდა, ხოლო ცურა (მეურვეობა) სულით ავადმყოფებზე, მფლანგველებზე, მცირეწლოვნებზე, ავადმყოფებზე, ზოგჯერ არასრულწლოვნებზეც(იმპერიის პერიოდამდე).
25) divortium - განქორწინება ორმხრივი ნებით. ქორწინების შეწყვეტის სამი კანონიერი საფუძველი: განქორწინება, ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება და ერთ-ერთი მეუღლის მიერ თავისუფლების დაკარგვა. განქორწინება გაცხადება ხდებოდა ამ მაცნის მეშვეობით, ან წერილის გაგზავნით, ან ქრ.შობამდე 18 წ. მიღებული ავგუსტუსის კანონით **lex Iulia de adulteriis**. აღნიშნული კანონი განქორწინებას მხოლოდ ცოლის ღალატის შემთხვევაში ითვალისწინებდა.
26) adrogatio et adoptio - რომში შვილად აყვანის ორი სახე არსებობდა: 1. **adoptio** (არათავისუფალი პირის შვილად აყვანა) და 2. **adrogatio** (თავისუფალი პირის შვილად აყვანა). გაიუსის თანახმად, **adrogatio**-თი პრინცეფსისა და მაგისტრატის ნებართვით მშობლის ხელისუფლებაში მყოფი პირების შვილება ხდებოდა.
27) dos – მზითევი. ქორწინების დროს მზითევი, როგორც ქმრისათვის გადაცემული ქონება, განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმით რეგულირდებოდა. ცოლის ქონების მართვის უფლება ქმარს მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა, თუ ამას თავად ცოლი გადასცემდა.

5 ქულიანი ესსე:

1) Ius civile

ცივილურ სამართალს ადრე კვირიტების სამართალი ეწოდებოდა. ის იმ შემთხვევაში გამოიყენებოდა, როდესაც საქმე ნივთზე საკუთრების უფლებას ეხებოდა.
ის გამოიყენებოდა მხოლოდ რომის მოქალაქეების მიმართ.
ვიწრო გაგებით: ცივილური სამაღტალი არეგულირებდა კერძო სამართალს.
ფართო გაგებით: ცივილური სამართალი მოიცავდა ყველა კომენტარს, რომელიც რომაელმა იურისტებმა შექმნეს. (XII დაფის კანონებიც.)

2) Servi – წყაროები და გააზატების გზები.

მონებად ან იბადებიან, ან ხდებიან. მონებად იბადებიან მხევალთაგან შობილნი. ტყვედ ჩავარდნილნი მონებად ხდებიან ხალხის სამართლით, ან ცივილური სამართლით იმ შემთხვევაში, თუ ოც წელს გადაცილებულმა თავისუფალმა ადამიანმა, გასაყიდი ფასის გარკვეული

ნაწილის მიღების მიზნით, საკუთარი თავის მონად გაყიდვას დათანხმდა. მონათა ორივე ტიპის მდგომარეობა იდენტური იყო.

თავისუფლების სტატუსის თაობაზე სასამართლო პროცესის დროს, მონის ბატონი დამცველის განცხადებას არ ეწინააღმდეგებოდა, რითაც, ფაქტობრივად, მონის გათავისუფლების პროცესში თანამონაწილეობდა. აღნიშნული სასამართლო პროცესი მონის გააზატებით სრულდებოდა. ასეთ პირობებში, გააზატების პროცედურის დამსწრე მაგისტრატის მიერ წარმოთქმული თავისუფალი სტატუსის დადასტურება საბოლოოდ ადგენდა ყოფილი მონის პირად სტატუსს და მისი გააზატების საკითხი გასაჩივრებას აღარ ექვემდებარებოდა.
მონის გააზატების სხვა წესებიც: 1. ბატონის ბრძანებით მონის შეყვანა საცენზო სიებში, რომელსაც ხუთ წელიწადში ერთხელ ადგენდნენ; 2. მონის გააზატება ანდერძის საფუძველზე, რომელიც თავდაპირველად კომიციებში მტკიცდებოდა ან ბრძოლისათვის მზადმყოფი ჯარის წინაშე წარმოითქმებოდა

3) Leges duodecim tabularum
XII დაფის კანონები.
შექმნის მიზეზი:
1. ar arsebobda დაწერილი სამართლის წყაროები.
2. პონტიფიკოსების თვითნებობა დაუწერელი ქცევის წესების დროს.
3. სასარჩევლო და არასასარჩევლო დღეების მანიპულირება.

სტრუქტურა:
1. I-II-III დაფა - სამოქალაქო პროცესი, სამართლის სუბიექტები.
2. IV-V დაფა - საოჯახო, მემკვიდრეობითი სამართალი.
3. VI-VII დაფა - სანივთო სამართალი და დალდებულებათა სახეები.

4. VIII-IX დაფა - სისხლის სამართლის ნორმები.
5. X დაფა - საკრალური ნორმები.
6. XI-XII დაფა - პირველი ათის დანამატები.

მიღების შედეგი:
1. შეიქმნა დაწერილი წყარო და მოისპო თვითნებობის შესაძლებლობა.
2. გამოირიცხა პრივილეგიები. გათანაბრდა უფლებებით.
3. შეიქმნა ისეთი კანონები, სადაც დაზუსტდა სხვადასხვა სფეროები.

4) Colonus

მიწაზე მიმაგრებული გლეხობა.
თავდაპირველად, მიწაზე მიმაგრების პროცესი მხოლოდ იმპერატორის მიწაზე მონების, გააზატებულებისა და მოიჯარეთა შრომის გამოყენებას ითვალისწინებდა. იმპერიის აღმოსვლეთ ნაწილში კოლონებს, საგადასახადო რეესტრში, მიწასთან ერთად აღნუსხავდნენ. კოლონს ეკრძალებოდა მამულის მესაკუთრის თანხმობის გარეშე მიწის ნაკვეთის მიტოვება, მესაკუთრეს კი ამ მიწებიდან კოლონების განდევნა; მესაკუთრეს მხოლოდ კოლონების ერთი მამულიდან მეორეში გადაყვანის უფლება ჰქონდა.

კოლონატის წარმოშობის საფუძვლები იყო:
1. თუ ერთ-ერთი მშობელი კოლონი იყო, ბავშვი დედის მდგომარეობას იღებდა.
2. თუ პირი 30 წლის განმავლობაში კოლონი იყო, ხანდაზმულობის ვადის ძალით, იგი მიწაზე მიმარგებას ექვემდებარებოდა.

კოლონატის შეწყვეტის პირობები იყო:
1. მემამულეს კოლონისადმი საკუთარ უფლებაზე უარის თქმა, მხოლოდ მიწაზე უარით შეეძლო. ეს იყო კოლონატის ურთიერთობის შეწყვეტის მთავარი პირობა;
2. თუ კოლონი, 30 წლის განმავლობაში, თავისუფალი პირის სტატუსით ცხოვრობდა, მისი განთავისუფლება ხანდაზმულობით ხდებოდა.
3. თუ კოლონი 30 წლის განმავლობაში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს წევრი – დეკურიონი – იყო, კოლონატი წყდებოდა.
4. თუ მიწის მესაკუთრის თანხმობით კოლონი ეპისკოპოსობას მიიღებდა ან მონაზონი გახდებოდა, კოლონატი წყდებოდა.

5) Lex et plebiscita

თავდაპირველად, პლებსის სახალხო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები – პლებისციტები სავალდებულო მხოლოდ პლებსისათვის იყო. თუმცა, ქრ. შობამდე 287 წ., ჰორტენზიუსის კანონით, **leges populi**-ს მსგავსად, ისინი მთელი რომაელი ხალხისათვის სავალდებულო შეიქნა. **Plebiscita** განსხვავდებოდა **leges populi**-გან მხოლოდ მისი მიღების ფორმით, თუმცა, შეესაბამებოდა **leges** ყველა არსებითი maxasiaTeblebiT.

6) Peregrini

XII დაფის კანონებით უკვე იყო გათვალისწინებული რამდენი-მე სახეობის იურიდიული აქტი, რომელთა გაფორმება დასაშვები იყო უცხოელთა იმ კატეგო-რიასთან, რომელიც რომაელ ხალხთან მეგობრობის ხელშეკრულებას დებდა. მათვე ენიჭებოდათ სასამართლო განხილვებში მონაწილეობის მიღების უფლება.
უცხოელების ზოგადი კლასიფიკაცია.
1. რომის მოქალაქეებთან ყველაზე მეტი სიახლოვით უძველესი ლათინები – ლაციუმის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქების მოქალაქეები გამოირჩეოდნენ. მათ უფლება ქონდათ:
ა) რომაელებთან **ius civile**-თი გარიგებების დადება.
ბ) რომის ტერიტორიაზე დასახლება.
გ) რომის მოქალა-ქედ გახდომა.
დ) რომაელებთან კანონიერ ქორწინებაში შესვლა.

განსხვავების ძირითადი კრიტერიუმი იყო:
1. ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი.
2. გარკვეული სამოქალაქო თემისადმი კუთვნილება.

7) Iurisprudentia–ს საქმიანობის სამი ძირითადი მიმართულება.

რესპუბლიკის პერიოდში ტერმინი სამართლის სპეციალისტი-მცოდნე რომაელ სამართალმცოდნეს (**iuris prudentes**) `**pontifices**”-გან არა იმდენად საერო თანამდებობდა, რამდენადაც არისტოკრატიული მდგომარეობა განასხვავებდა, ვინაიდან ამ დროის იურისტები – ძირითადად პონტიფიკოსები – ექს-მაგისტრატები იყვნენ, ხოლო

სამართალმცოდნეობის პერმანენტულობა უშუალოდ პონტიფიკოსების საქმიანობას უკავშირდებოდა.
ამან ხელი შეუწყო სამართლებრივი ინსტიტუტების გვარობით ნიშნით (**genera**) რელევანტური დაყოფას (**divisiones**), რაც რომაული იურისპრუდენციის ძირითად მეთოდოლოგიად იქცა.

8) Senatus

თავდაპირველი სენატი იყო უხუცესთა საბჭო, რომელიც რექსს პრობლემების გადაწყვეტაში ეხმარებოდა. რომულუსმა თავად დააარსა სენატი, რომლის შემადგენლობაშიც 100 სენატორი შეიყვანა; მათი რიცხვი გაი-ზარდა და ტარკვინიუს პრისკუსის მმართველობის დროს მათმა რიცხვმა 300 მიაღწია. შესაძ-ლოა, სენატორთა რიცხვი განისაზღვრებოდა იმ **patres** რაოდენობით, სენატში ადგილის დაკავების უფლება რომ მოიპოვეს. სენატი გვართა მეთაურების წრიდან იქმნებოდა. ვარი იყო მონათესავე ოჯახის გაერთიანება, რომელსაც საერთო წინაპარი ჰყავდა. **Civitas**-ის შექმნის თვალსაზრისით, ოჯახის, გვარისა და ტომის ფუნქციის საკითხი დიდი ხნის განმავლობაში განიხილებოდა რომანისტიკაში. ოჯახთა კავშირი, რომელსაც საერთო წინაპარი (**patres gentis**) ჰყავდა ნათესავთა ერთობას – გვარს ქმნიდა. გვარის წევრები საერთო საგვარეულო სახელს ატარებდნენ და გვარის ყველა წევრისათვის ერთნაირ წმინდა რიტუალებს აღასრულებდნენ. რექსის გარდაცვალების შემდეგ მთელი ძალაუფლება გადადიოდა სენატორთა ხელთ, რომლებიც ახალ რექსს ირჩვდნენ.

9) რომაული magistratuum

რესპუბლიკური მაგისტრატურის ძირითადი ნიშნებია:
1. არჩევითობა
2. კოლეგიალობა
3. 1 წლიანი ვადა
4. უსასყიდლობა
5. ანგარიშვალდებულობა

უფროსი მაგისტრატები:
1. კონსული
2. დიქტატორი
3. პრეტორი
4. სამხედრო ტრიბუნი

მაგისტრატურები:
1. ჩვეულებრივი (ორდინალური)
2. განსაკუთრებული (ექსტრაორდინალური)

ჩვეულებრივი მაგისტრატურები:
1. მუდმივმოქმედი
2. შესვენების შემდეგ ამოქმედებული

განსაკუთრებული მაგისტრატურები:
1. დიქტატორი

მუდმივმოქმედი მაგისტრატურები:
1. კონსულატი
2. პრეტურა
3. კვესტურა
4. ედილეიტეტი
5. პლებსის ტრიბუნატი
6. ცენზურა

მაგისტრატობის იერარქია:
1. კონსული
2. პრეტურა
3. ედილიტეტი
4. კვესტურა

10) Constitutiones principium

იმპერატორების კონსტიტუციები

პრინცეფსის გადაწყვეტილებას კანონის ძალა აქვს, რადგან ხალხი იმპერატორს მთელ ხელისუფლებას, პრინცეფსის ხელისუფლების

შესახებ გამოცემული კანონით, გადასცემს.
ფორმის მიხედვით, იმპერატორის კონსტიტუციები იყოფა:
1. **Edicta** _ ზოგადი მოქმედების ნორმა.
2. **Decreta** – სასამართლო გადაწყვეტილება. (ჩვეულებრივ, ქვედა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებაზე აპელაციის პასუხად.)
3. **Rescripta** _ ცალკეული კაზუსის გადაწყვეტა.
იმპერატორის კონსტიტუციების კერძო კრებულების შესაქმნელად მზარდმა ინტერესმა ისეთი მნიშვნელოვანი აქტების შექმნა განაპირობა, როგორიცაა დიოკლეტიანეს დროს შედგენილი **Codex Gregorianus** და **Codex Hermogenianus**.

11) Comitia centuriata-ს ევოლუცია.

ცენტურიის კომიციები ბოლოსწინა ეტრუსკელმა რექსმა სერვიუს ტულიუსმა შექმნა. აღნიშნული კომიცია ეფუძნებოდა რომაელი ჯარის ახალ სტრუქტურას, რომელიც, ჯარისკაცთა ქონებრივი სტატუსის მიხედვით, ხუთ კატეგორიად იყოფოდა. პირველ ეტაპზე ჯარის შეკრება გვარების მიხედვით ხდებოდა; წლის განმავლობაში ჯარში პატრიციებისა და კლიენტებისაგან რომელ წევრს უნდა ემსახურა, ამას გვარი ადგენდა. აქედან გამომდინარე, ჯარში კავალერია დომინირებდა. ბრძოლის ჰოპლიტური ტაქტიკის შემოღებით ცხენოსანთა რიგები შემცირდა. ჰოპლიტები – ეს იყო ასი მეომრისაგან შემდგარი სამხედრო რაზმები.

სერვიუს ტულიუსმა მოქალაქეები 5 ჯგუფად დაჰყო:
1. უმაღლესი ჯგუფის წევრობისათვის სავალდებულო იყო 100 000 სისტერციის (ფულადი ერთეული) ქონა,
2. 75 000
3-4. შესაბამისად, 50 000 და 25 000.
5. 12 000 სისტერციის ქონა მოეთხოვებოდა.

მოქალაქეთა თითოეული კატეგორია ვალდებული იყო გამოეყვანა ცენტურიის განსაზღვრული რაოდენობა. მხედრობას 18 ცენტურია გამოჰყავდა, ხოლო დამხმარე კარი კიდევ 5 ცენტურიას ქმნიდა. ცენტურიების საერთო რიცხვი 193 შეადგენდა.

ცენტურია ერთდროულად სამხედრო ერთეული და პოლიტიკურ-ფისკალური გაერ-თიანება იყო, ანუ მათ სახალხო კრებაზე ხმის მიცემის უფლება ჰქონდა. ხმის მიცემისას პირველობა მოქალაქეთა ყველაზე შეძლებულ ფენას ენიჭებოდა. ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვების შემდეგ ხმის მიცემის პროცედურა წყდებოდა.

12) Edictum magistratuum

მაგისტრატების ედიქტები. უმაღლესი სამხედრო და საჯარო ხელისუფლების მქონე რომაელ მაგისტრატებს, ქცევის წესების დადგენა და გამოცემა ედიქტების სახით შეეძლოთ. მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ქრ. შობამდე II საუკუნეში lex Aebutia-ს გამოცემით შეეძინათ. დამკვიდრდა ახალი სახის პროცესი – **per formulas**, ამისთვისაც იგი არა ექსტრაორდინალურ, არამედ ჩვეულებრივ სამოქალაქო-სამართლებრივ საშუალებებს იყენებდა. ქრ. შობამდე 17 წ. მაგისტრატების ედიქტმა თითქმის მონოპოლური მდგომარეობა მოიპოვა.
წლის დასაწყისში გამოცემული ედიქტი, პრეტორის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ძალას ინართუნებდა და მუდმივ ედიქტად იწოდებოდა. ქრ. შობამდე 67 წ. პლებსის ტრიბუნის კორნელიუსის მიერ გამოცემული კანონით, პრეტორს სხვა აქტებით მართლმსახულების განხორციელება აეკრძალა.
131 წ. იმპერატორმა კვესტორებს სალვიუს იულიანესა და სერვიუს კორნელიუსს პრეტორული ედიქტების საერთო რედაქტირება დაავალა. ამ ამოცანის შესასრულებლად სათანადო ცოდნა მხოლოდ იულიანეს ჰქონდა, ამდენად, თითქმის მთელი სამუშაოც მან შეასრულა. იულიანეს რედაქციით გამოცემულ ედიქტს `**Edictum perpetuum**-ი“ ეწოდა. ამიერიდან კოდიფიცირებულ ტექსტში მაგისტრატებს მხოლოდ აუცილებელი ხასიათის დამატებების შეტანა შეეძლოთ.

13) პრინციპატის ცნება და აღნიშნული პერიოდის სახელმწიფო წყობილება.

პრინციპატის ხანა – ქრ. შობამდე 27 წ. – ქრ. შობის 284 წ.
პრინციპატი - რომში არსებული, რესპუბლიკური ორგანოებით შენიღბულ-შელამაზებული მონარქიული მმართველობის ნაირსახეობა.
პრინციპატის ხანას ემთხვევა - განვითარებული და გვიანდელი კლასიკის სახელმწიფოს წყობილება.
პრინციპატი, როგორც ორხელისუფლებიანობა, იყო ისეთი რეჟიმი, რომლის დროსაც ძალაუფლება გამიჯ-ნული იყო პრინცეფსსა და სენატს შორის.

14) პრეტორული ფორმულის ოთხი ელემენტი.
პრეტორის მხრიდან, კერძო მოსამართლისათვის სასამართლო ფუნქციების დელეგირება, განსაკუთრებული ბრძანების (**ფორმულა**) სახით ხდებოდა; აქედან გამომდინარე, სასამართლო განხილვის ახალ, პრეტორულ სახეს ფორმულარული პროცესი ეწოდა.
არსებობს ოთხი სახის ფორმულა:
1. Audicatio - თანამემკვიდრეობიდან წილის გამოყოფა
2. Intentio - სასარჩელო უფლებების აღმოცენება
3. Demonstratio - საქმის არსი. ის იწყებოდა სიტყვებით: „ვინაიდან...“
4. Condemnatio - მოსამართლეს მოპასუხის დასჯის უფლებამოსილება ენიჭებოდა.

15) Sponsalia-ს ცნება, მისი დადების წესი და შეწყვეტის შედეგები.
შპონსალია - ნიშნობა.
თავდაპირველად, ნიშნობა თითოეული დასაქორწინებელი პირის ოჯახის უფროსების შეთანხმებით ხდებოდა; მოგვინებით კი, თავად მექორწინეთა თანხმობით.
კანონმდებლობა უშვებდა ერთ გამონაკლისს, როცა ქალიშვლის შეეძლო არ დამორჩილებოდა მამის გადაწყვეტილებას, როდესაც მამა მას უღირს ან სახელგატეხილ საქმროს აურჩევს.
ნიშნობის დროს საქმროს მხარე საპატარძლოს მხარეს ნიშნობის ბეჭედს და სხვადასხვა სახის მოძრავ ნივთს გადასცემდა.
ორივე მხარე, რომელმაც ჩაშალა sponsalia, ცხადდება კვაზი-ნათესავებად ანუ ამ გვარს შორის 4 ნათესაობა, ვეღარ დაქორწინდება.

16) ძველრომაული ქორწინების ცნება, მისი ნამდვილობის პირობები და სახეები.

ქორწინება არის მამაკაცისა და ქალის კავშირი, მთელი ცხოვრების ერთიანობა, ღვთიური და ადამიანური სამართლის ერთობა“

რომის სამართლის თანახმად, ქორწინების ორი ტიპი არსებობდა:
1. სრულუფლებიანი
2. არასრულუფლებიანი

თავის მხრივს სრულუფლებიანი იყოფოდა:
1. ქმრის ხელით (**cum manu mariti**)
2. ქმრის ხელის გარეშე (**sine manu mariti**)

cum manu mariti ტიპის ქორწინება. ქალი, გათხოვების შემდეგ, მშობლების ოჯახთან იურიდიულ კავშირს კარგავდა და ქმრის ხელისუფლებაში გადადოდა. ამ ტიპის ქორწინებისას ქმრის ხელისუფლება ცოლზე, განუსაზღვრელი იყო. ქონებრივი ურთიერთობების თვალსაზრისით, მონებისა და შვილების მსგავსად, ცოლს არავითარი უფლებაუნარიანობა არ გააჩნდა. ყველაფერი, რაც ქორწინებამდე ცოლს ეკუთვნოდა, ქმრის საკუთრება ხდებოდა. ქორწინების პერიოდში ცოლის საჩუქარი ქმრის საკუთრებაში გადადიოდა.

არასრულუფლებიანი ქორწინება:
1.concubinatus - ურთიერთობა ქორწინების გარეშე.

საქორწინო რიტუალების სახეები:

1. ***Confarreatio*** **-** რიტუალი ტარდებოდა მხოლოდ პატრიციებს შორის. ამ რიტუალს ესწრებოდა 10 ქურუმი (flamines). ამ ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვი ხდებოდა flamines.
2. Coemptio - ხანდაზმულობით ქორწინება. ცოლს შეეძლო 3 დღე-ღამე მამის სახლში გაეტარებინა.

ქორწინების შეწყვეტა:
1. divortium - ქორწილის შეწყვეტა ურთიერთშეთანხმებით.
2. repudium - ქორწილის შეწყვეტა ცალმხრივად.

ქორწინების შეწყვეტის მიზეზები:
1. მეუღლეთა გარდაცვალება
2. მოქალაქეობის/თავისუფლების დაკარგვა
3. ერთ-ერთი მეუღლის ტყვედ ჩავარდნა

17) ძველრომაული Dos და მისი სახეები.

ოს - მზითევი.
მზითევი ეს არის ქონება, რომელიც, საოჯახო ხარჯების შემსუბუქების მიზნით, ქმარს ცოლის ან მესამე პირის მიერ გადაეცემოდა.
მზითევის დადგენა შეიძლებოდა სხვადასხვა სახის გარიგებით: გადაცემით, დაპირებით ან საანდერძო დანაკისრით.
მზითევი:
1. dos profecticia – (მზითვი, რომელსაც დაბადებიდან აგროვებდნენ). ეს მზითევს ქალს, მამაკაცის ოჯასი გათხოვების შედეგად მიჰქონდა.
2. dos adventicia - საჩუქრის სახით მიღებული მზითევი.

18) Paterfamilias-ის ხელისუფლება, მისი წარმოშობა და შეწყვეტა ძველ რომში.

Paterfamilias **-** ოჯახის უფროსი.

ოჯახის თავისუფალი წევრები: ვაჟიშვილები და ქალიშვილები, დაღმავალი ხაზით სხვა ნათესავები, ოჯახის უფროსის (**პატერფამილიას**) ხელისუფლებაში იმყოფებოდნენ.

კანონიერი მეუღლე, ქმრის ხელისუფლებაში (**in manu**) იმყოფებოდა. თუ მისი ქმარი საკუთარი ოჯახის უფროსის ხელისუფლებაში იყო, მაშინ ცოლი, ერთდროულად, საკუთარი ქმრისა და მისი ოჯახის უფროსის ხელისუფლებაში შედიოდა.

პირი ქორწინებაში მხოლოდ ოჯახის უფროსის (**paterfamilias**) თანხმობის შემდეგ შედიოდა.

ოჯახის უფროსი საკუთარ ხელისუფლებასა და უფლებას მორჩილებდა, იმავდროულად, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი და დამოუკიდებელი პიროვნება იყო.

ოჯახიდან გასვლას თან სდევდა თვითხელისუფლების შეძენა და უფლებაუნარიანობის შემცირება. პირი არა იმდენად საკუთარი ოჯახის უფროსის (**patesfamilias**) მიმართ დამოუკიდებლობას იძენდა, რამდენადაც მფარველობასა და სოციალურ სტაბილურობას კარგავდა.